

## IX თავი

### მობილობა ბსუ-ში, შიდა მობილობა და საერთაშორისო მობილობა (განახლებული რედაქცია - თებერვალი, 2022 წ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“ არეგულირებს სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებასა (შემდგომში – მობილობა) და მის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა). სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება მობილობის ელექტრონული პორტალი (შემდგომში – ელექტრონული პორტალი).

სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის, დგინდება:

ა) დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში ელექტრონულად წარმოდგენის ვადა; ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა; გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა.

**ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) პროცედურები ხორციელდება „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 03 თებერვლის N01-02/16 ბრძანების შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 9).**

**ბსუ-ში მობილობის მსურველი სტუდენტი** უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე, გააკეთოს განაცხადი მობილობაზე, გადაიხადოს მობილობის საფასური, ხოლო დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში წარმოადგინოს :

ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ე) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

- ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

### შიდა მობილობა

ბსუ აცხადებს შიდა მობილობას წელიწადში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სე მესტრებისათვის.

ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია ბსუ-ში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა). აღნიშნული უფლებით ბსუ-ს სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბსუ-ში სწავლის პირველი სემესტრის შემდეგ.

შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის (მათ შორის შიდა მობილობის) უფლებით.

**ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) მსურველმა ბსუ-ს სტუდენტმა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:**

- ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;
- დ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

**ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველმა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულმა პირმა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:**

- ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - [bsu@edu.ge](mailto:bsu@edu.ge));
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;
- დ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;
- ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);
- ვ) ცნობა ბსუ-ში სწავლის ფინანსური დავალიანების დაფარვის შესახებ ან სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი, თუკი პირს ერიცხება სწავლის საფასურის დავალიანება.

შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა თუკი აღემატება ვაკანტური ადგილების რაოდენობას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსში ჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბრძანება გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის დროისათვის მას არ ერიცხება ფინანსური დავალიანება (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი აღბიწნულ ინფორმაციას გამოითხოვს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან).

### საერთაშორისო მობილობა

ბსუ-ს სტუდენტის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2), „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესისა“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N32) და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ ვრცელდება ბსუ-ს ვებგვერდისა და ბსუ-ს პორტალის (portal.bsu.edu.ge) მეშვეობით. ასევე ბსუ-ს სოციალურ ქსელში (FACEBOOK-გვერდზე) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებზე.

ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში (საერთაშორისო მობილობა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესისა“ და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

*სტუდენტი ვალდებულია ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შეუთანხმოს (ადასტურებს ხელმოწერით) სტუდენტსა და მიმღებ უნივერსიტეტს შორის გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულება (ე.წ. „Learning Agreement“).*

*საერთაშორისო მობილობის სემესტრის დაწყებამდე ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს და წარუდგენს სასწავლო ხელშეკრულებას, მიმღები უნივერსიტეტის თანხმობის/მოწვევის წერილს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე.*

საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პერიოდში ბსუ-ს სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი. ამ პერიოდში სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთაშორისო მობილობის პერიოდში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მიმღები უნივერსიტეტის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ბსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

საერთაშორისო მობილობის პერიოდის აკადემიური რეგისტრაციის (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების რეგისტრაციის) შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში აისახება სტუდენტის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ, სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) აღიარებისა და ბსუ-ში სწავლის სემესტრის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.





